საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 244

2012 წ. "14" 08

ქ. თბილისი

შპს - გორის წმინდა გიორგის სახელობის სკოლა-ლიცეუმისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-13 მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - გორის წმინდა გიორგის სახელობის სკოლა-ლიცეუმს (საიდენტიფიკაციო კოდი: 217885625) მიენიჭოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	ინფორმაციული ტექნოლოგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	III	ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	35
2	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	II	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
3	მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	III	მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
4	მეორე საფეხურის ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	II	მეორე საფეხურის ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი)- პროფესიული	35

			კვალიფიკაცია	
5	მესამე დონის ბუღალტრის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	III	ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ ბუღალტერ-მოანგარიშე	35

2. შპს - გორის წმინდა გიორგის სახელობის სკოლა-ლიცეუმს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 100-ით.
3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 14 აგვისტოს №19 სხდომის ოქმის მე-4 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით კახნიაშვილი

მდივანი
ანა კლდიაშვილი